ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის
N29 ბინაზე, მოქალაქე ომარი ქარაზანაშვილისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე ომარი ქარაზანაშვილის წარმომადგენლის დავით რუხაძის განცხადება /2012 წლის 07.05 Nr–3692/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N29 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ომარი ქარაზანაშვილის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N29 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ომარი ქარაზანაშვილს /პირადი N04001003353/.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ლექავას ქუჩა N5ა საცხოვრებელი სახლის N29 ბინაზე /საერთო ფართობი 70,17 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 49,80 კვ.მ, დამხმარე ფართობი 20,37 კვ.მ./ მოქალაქე ომარი ქარაზანაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი　　　　　　　　　　გ.თევდორაძე